# ცოდნის კაფე

## საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო „ცოდნის კაფე“ დაფუძნდა 2016 წელს ა(ა)იპ „სამოქალაქო ინიციატივის“ ფარგლებში. “ცოდნის კაფე” არის წნორში არსებული სივრცე, სადაც შესაძლებელია კულტურულ-საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების გამართვა როგორც ახალგაზრდების, ისე ბავშვებისა და 60+ ადამიანებისთვის. “ცოდნის კაფეს” **სოციალური მისიაა** ცოდნის მიღების, შემეცნებისა და თვითრეალიზების შესაძლებლობების შექმნა რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის.





## სოციალური საწარმოს სერვისი

სოციალური საწარმო მულტიფუნქციური ცენტრია, რომელიც ადგილობრივებს სთავაზობს იმ მომსახურებას, რაზე ხელმისაწვდომობაც დაბალია მუნიციპალიტეტის მასშტაბით. “ცოდნის კაფეს” სივრცეშია:

- **სოციალური კაფე მრავალფეროვანი მენიუთი**
- **არაფორმალური განათლების ცენტრი, სადაც იმართება სამუშაო შეხვედრები, დისკუსიები, კონოჩვენებები და სხვა აქტივობები**
- **წიგნის მაღაზია 10-ზე მეტი გამომცემლობის წიგნებით**
- **ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი მულტიმედია ბიბლიოთეკა 1000-ზე მეტი თანამედროვე წიგნითა და კომპიუტერით**
- **რეზიდენცია, რომელიც მასპინძლობს ხელოვანებს მთელი მსოფლიოდან, რათა რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება**

## სოციალური შედეგები

- სოციალურმა საწარმომ ბოლო 1 წლის განმავლობაში 135-მდე კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობას უმასპინძლა, მათ შორის 2700-მდე ბავშვს, ახალგაზრდას, ზრდასრულსა და 60 + ადამიანს
- „ცოდნის კაფეში“ 40-ზე მეტი ადამიანი უფასოდ სწავლობს ინგლისურ ენას ამერიკელი მოხალისის ჩართულობით
- 20-ზე მეტ აქტიურ ახალგაზრდულ ჯგუფს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან „ცოდნის კაფემ“ მისცა მოტივაცია, დაეწყოთ ცოდნის კაფეს მსგავსი სივრცეების შექმნა
- სოციალურ საწარმოს აქვს “განათლების ფონდი”, რომლის მხარდაჭერითაც 80-მდე ახალგაზრდამ მიიღო პლანშეტური კომპიუტერი, რათა ჰქონოდათ ონლაინ სწავლების შესაძლებლობა


**995 595 964 656**

**civicinit@gmail.com**

**https://www.facebook.com/tsodniscafe/**

**დავით აღმაშენებელის ქუჩა III შესახვევი N3, წნორი, საქართველო**




